ინფორმაცია
საქართველოსა და ევროპის ქვეყნების სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის საშუალო ვადების თაობაზე

2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 1 მარტის ჩათვლით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელდა კვლევა, რომლის დროსაც შესწავლილი იქნა 6000-ზე მეტი საქმე. კვლევის მიზანი იყო როგორც სამივე, ისე ცალ-ცალკე ინსტანციების მიხედვით საქმეთა განხილვის საშუალო ვადების დადგენა. იმავდროულად მიმდინარეობდა მსგავსი მონაცემების მოძიება ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოდან. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის საშუალო ვადა შეადგენს: სამოქალაქო საქმეებზე - 18,3 თვეს, ადმინისტრაციულ საქმეებზე - 15,9 თვეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე - 12,6 თვეს. ევროპის სახელმწიფოებიდან მიღებულ ინფორმაციასთან ამ მონაცემების შედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემას ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აქვს. კერძოდ, საქმეთა განხილვის საშუალო ვადები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოში ბევრად მცირეა ვიდრე იტალიის, გერმანიის და ნორვეგიის სასამართლოებში, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის კუთხით საქართველოში საქმეთა განხილვის საშუალო ვადა ნაკლებია ესტონეთში შესაბამის საქმეთა განხილვის ვადაზე. აღსანიშნავია, რომ ესტონეთში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 1.542000 მაცხოვრებელს, დღეის მდგომარეობით მოქმედებს 240 მოსამართლე, (ყოველ 6425 მოსახლეზე 1 მოსამართლე), სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საშუალო ვადა მეორე ინსტანციის სასამართლოებში 11,8 თვეა, მაშინ როცა საქართველოში, სადაც 281 მოსამართლეა დასაქმებული (ყოველ 15393 მოსახლეზე 1 მოსამართლე) და მხოლოდ მოსამართლეთა კორპუსის 400-მდე გაზრდით არის შესაძლებელი საერთაშორისო სტანდარტის მიღწევა (ყოველ 10000 მოსახლეზე 1 მოსამართლე), სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საშუალო ვადა სამივე ინსტანციაში შეადგენს 12,6 თვეს, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოებში კი – 2,1 თვეს.

ამასთან, ევროპის მრავალ ქვეყანაში, კონკრეტული საქმის განხილვა ერთ ინსტანციაში შეიძლება წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდეს. მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიყვანოთ სლოვენიის სასამართლო სისტემა, სადაც 1002 მოქმედი მოსამართლეა (ყოველ 1981 მაცხოვრებელზე 1 მოსამართლე), საქმეთა განხილვის ვადა მხოლოდ რაიონულ სასამართლოებში შეადგენს: 1-2 წლამდე სისხლის სამართლის საქმეების 23,10%-ზე, 2-3 წლამდე – 13,20%-ზე, 3 წელზე მეტი – 19,30%-ზე. დაახლოებით იგივე მონაცემებია სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, ხოლო ადმინისტრაციული საქმეების 52,10% იხილება 1-3 წლამდე ვადაში. საქართველოში კი (მოსამართლეთა რაოდენობის და მათი მოსახლეობასთან

თანაფარდობის მიუხედავად), საქმეების საერთო რაოდენობის მხოლოდ 1% იხილება (სამივე ინსტანციაში) 1-2 წლამდე ვადაში.

კვლევის საფუძველზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს ახალი სასამართლო სისტემის სტრუქტურული მოდელი დიდ გავლენას ახდენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, სისტემის ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ინტენსიურმა დანერგვამ ხელი შეუწყო სასამართლოებში საქმეთა დროულ განხილვასა და გადაწყვეტას.

<u>**კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:**</u>

<table>
<tr><th rowspan="2">ქვეყანა</th><th rowspan="2">მოსამართლეთა რაოდენობა</th><th colspan="3">საქმეთა გახილვის საშუალო ვადები</th></tr>
<tr><th>I ინსტ.</th><th>II ინსტ.</th><th>III ინსტ.</th></tr>
<tr><td>1. იტალია</td><td><table><tr><th>I ინსტ.</th><th>II ინსტ.</th><th>III ინსტ.</th></tr><tr><td>6798</td><td>1332</td><td>406</td></tr></table>
სულ: 8536 მოსამართლე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

18.2 თვე

მშვიდობის მსაჯულები (I ინსტ. სასამართლო პატარა საქმეებზე) - 27,7 თვე

შრომითი დავების განხილველი სასამართლო – 9,5 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

15,2 თვე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

46,8 თვე

შრომითი დავების განხილველი სასამართლო – 27,1 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

22,7 თვე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

31,8 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

8,3 თვე</td></tr>
<tr><td>2. ესტონეთი</td><td><table><tr><th>I ინსტ.</th><th>II ინსტ.</th><th>III ინსტ.</th></tr><tr><td>127</td><td>46</td><td>19</td></tr></table>
სულ: 240 მოსამართლე</td><td>ადმინისტრაციულ საქმეებზე:

4,8 თვე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

6,3 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

საერთო პროცედურები – 11,8 თვე; ალტერნატიული (სასჯელების შერჩევასთანდაკავშირებული) პროცესი – 3,3 თვე; მორიგებით დამთავრებულ საქმეებზე – 1,5 თვე;

შემაჯამებელი პროცესი – 0,7 თვე</td><td></td></tr>
</table>

ქვეყანა	მოსამართლეთა რაოდენობა			საქმეთა გახილვის საშუალო ვადები		
				I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.
3. გერმანია	I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.	**სამოქალაქო საქმეებზე (2005 წლის მონაცემი):** რაიონული სასამართლო– 4,4 თვე; მიწის სასამართლო – 7,4 თვე. **ადმინისტრაციულ საქმეებზე (2005 წლის მონაცემი):** 14,1 თვე	**სამოქალაქო საქმეებზე (2005 წლის მონაცემი):** მიწის სასამართლო – 4,9 თვე; მიწის უმაღლესი სასამართლო – 7,5 თვე. **ადმინისტრაციულ საქმეებზე (2005 წლის მონაცემი):** 8,7 თვე	**ადმინისტრაციულ საქმეებზე (2005 წლის მონაცემი):** 11,0 თვე
	სულ: დაახლოებით 22000 მოსამართლე					
4. პოლონეთი	I ინსტ.	II ინსტ.	III ინსტ.			სამოქალაქო პალატაში – 3-4 თვე; სისხლის საქმეთა პალატაში – 4 თვე; შრომითი, ნორმატიული, სპციალური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების პალატაში – 4 თვე; სამხედრო პალატაში – 1-2 თვე.
			90			
	სულ: 10000 მოსამართლე					

<table>
<tr><th rowspan="2">ქვეყანა</th><th rowspan="2">მოსამართლეთა რაოდენობა</th><th colspan="3">საქმეთა გახილვის საშუალო ვადები</th></tr>
<tr><th>I ინსტ.</th><th>II ინსტ.</th><th>III ინსტ.</th></tr>
<tr><td>5. ნორვეგია</td><td><table><tr><th>I ინსტ.</th><th>II ინსტ.</th><th>III ინსტ.</th></tr><tr><td>516</td><td>161</td><td>19</td></tr></table>სულ: 696 მოსამართლე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

6,1 თვე.

სისხლის სამართლის საქმეებზე:

2,7 თვე.</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

8,0 თვე.

სისხლის სამართლის საქმეებზე:

4,7 თვე.

სამი პროფესიონალი მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე - 3,9 თვე.

ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილულ საქმეებზე – 4,9 თვე.</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

5,9 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

2,9 თვე.</td></tr>
<tr><td>6. საქართველო</td><td><table><tr><th>I ინსტ.</th><th>II ინსტ.</th><th>III ინსტ.</th></tr><tr><td>209</td><td>54</td><td>18</td></tr></table>სულ: 281 მოსამართლე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

7,7 თვე

ადმინისტრაციულ საქმეებზე:

4,7 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

5,3 თვე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

6,8 თვე

ადმინისტრაციულ საქმეებზე:

6,3 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

2,1 თვე</td><td>სამოქალაქო საქმეებზე:

3,8 თვე

ადმინისტრაციულ საქმეებზე:

4,9 თვე

სისხლის სამართლის საქმეებზე:

5,2 თვე</td></tr>
</table>

<table>
<tr><th>ქვეყანა</th><th>მოსამართლეთა რაოდენობა</th><th colspan="7">საქმეთა გახილვის ვადები</th></tr>
<tr><td rowspan="7">7. სლოვენია</td><td rowspan="7"><table><tr><th>I ინსტ</th><th>II ინსტ</th><th>III ინსტ</th><th>სხვა</th></tr><tr><td>721</td><td>145</td><td>39</td><td>97</td></tr></table>
სულ: 1002 მოსამართლე</td><td></td><td>< 3 თვე</td><td>3 - 6 თვე</td><td>6 - 12 თვე</td><td>1-2 წელი</td><td>2-3 წელი</td><td>> 3 წელი</td></tr>
<tr><td>სისხლი - საოლქო</td><td>12,20%</td><td>13,40%</td><td>18,80%</td><td>23,10%</td><td>13,20%</td><td>19,30%</td></tr>
<tr><td>სისხლი - რაიონული</td><td>27,60%</td><td>12,20%</td><td>15,10%</td><td>20,70%</td><td>14,00%</td><td>10,40%</td></tr>
<tr><td>სამოქალაქო - საოლქო</td><td>15,40%</td><td>21,50%</td><td>20,10%</td><td colspan="2">28,90%</td><td>14,10%</td></tr>
<tr><td>სამოქალაო - რაიონული</td><td>18,50%</td><td>13,60%</td><td>14,30%</td><td colspan="2">26,20%</td><td>27,40%</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული</td><td>21,50%</td><td>9,90%</td><td>16,50%</td><td colspan="3">52,10%</td></tr>
<tr><td></td><td></td><td colspan="7">საქმეთა გახილვის საშუალო ვადები</td></tr>
<tr><td rowspan="2">8. საფრანგეთი *</td><td rowspan="2"><table><tr><th>I ინსტ</th><th>II ინსტ</th><th>III ინსტ</th></tr><tr><td></td><td></td><td></td></tr></table>
სულ: დაახლოებით 8500 მოსამართლე</td><td colspan="2">I ინსტ.</td><td colspan="3">II ინსტ.</td><td>III ინსტ.</td></tr>
<tr><td colspan="2">1 წელი</td><td colspan="3">2 წელი</td><td>9 თვე</td></tr>
</table>

მონაცემები დამუშავებულია შესაბამისი ქვეყნების უზენაესი სასამართლოების და საელჩოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

* ინფორმაცია საქმეთა განხილვის ვადების თაობაზე მიღებულია საფრანგეთის იუსტიციის საბჭოსგან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობის საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტისას.